ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N34

2021 წლის 31 მაისი

ქ.ქობულეთი

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში მდებარე 11827 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N01-63.0 კვ. მეტრი საერთო ფართის შენობა-ნაგებობა (სტადიონი ს/კ 20.37.02.106) შემდგომში, შპს ქობულეთის საფეხბურთო კლუბ ,,შუქურასათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის მიზნით;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30;

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე     დ.მჭედლიშვილი